ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 217/8

თბილისი „24" „ოქტომბერი" 2014 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1ერთის მხრივ, **სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა,დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი"** (შემდგომში - „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის **ლაშა ჯინჯიხაძის** სახით და მეორეს მხრივ **ფ/პ „ირაკლი ლაცაბიძე"** (შემდგომში - „მიმწოდებელი") წარმოდგენილი **ირაკლი ლაცაბიძის** სახით.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. „შემსყიდველმა" განახორციელა გამარტივებული შესყიდვა 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში შემსყიდველის სტრუქტურული ერთეულის თბილისის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფარის) საჭიროებისათვის საყოფაცხოვრებო ტექნიკის (ობიექტთა ერთგვაროვნება CPV-50500000-ტუმბოების,სარქველების, ონკანებისა და ლითონის კონტეინერების, ასევე მანქანების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება, დეტალური- CPV-50530000 - მანქანა–დანადგარების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება) შეკეთების მომსახურების შესყიდვაზე და „მიმწოდებელმა" აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება 100 (ასი) ლარად (შემდგომში – „ხელშეკრულების ღირებულება").

2.2. ხელშეკრულების 2.1. პუნქტში აღნიშნულ ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი და მოსაკრებელი.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1 შესყიდვის ობიექტია თბილისის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფარის) საჭიროებისთვის, სარეცხი მანქანა INDESIT-ის ძრავის შეკეთება, ღირებულებით 100 (ასი) ლარი.

3.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 100 (ასი) ლარი, მათ შორის 80 (ოთხმოცი) ლარი ხელზე ასაღები თანხა, ხოლო 20 (ოცი) ლარს, შემსყიდველი იღებს ვალდებულებას დაუკავოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადი.

4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან, მიმდინარე წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით, „შემსყიდველის" სტრუქტურული ერთეულის ოფისში, მისამართზე: ქ.თბილისი, ქინძმარაულის პირველი შესახვევი #1 (მეორე სართული).

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება უნდა გაფორმდეს მიღება–ჩაბარების აქტით, ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით.

5.2. მომსახურების გაწევიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღეში „მიმწოდებელი" „შემსყიდველს" წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში;

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე;

6.3. გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება იწარმოებს ერთეჯერადად, მიღება-ჩაბარების აქტისა და ხელშეკრულების 15.1 პუნქტით განსაზღვრული პირის მიერ შედგენილი ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე.

6.4. „შემსყიდველი" უზრუნველყოფს „მიმწოდებლის" დაფინანსებას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების 6.3 პუნქტში აღნიშნული დოკუმენტების წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღეში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

7.1.1 კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.2. უზრუნველყოს „შემსყიდველისათვის" მომსახურების გაწევა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ყველა ხარჯს დაკავშირებულს ხელშეკრულების საგანთან იხდის „მიმწოდებელი".

7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის" სრული და დროული დაფინანსება.

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:

8.2.1 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს `შეთანხმების~ სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1 მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2 ხელშეკრულების 13.3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

14.1.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ინსპექტირების პირობები

15.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი.

15.2. წინამდებარე ხელშეკრულების 15.1. პუნქტით განსაზღვრული პირის ფუნქციებია:

15.2.1. მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლისა და ზედამხვედველობის განხორციელება;

15.2.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიმწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება და ,,მიღება-ჩაბარების" აქტის და ინსპექტირების გაფორმება.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მიმდინარე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

17. განსაკუთრებული პირობები

17.1. ხელშეკრულება შედგენილია 4 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

17.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება ,,მიმწოდებელთან'', სამი _ ,,შემსყიდველთან''

18. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“
სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი”
ქ. თბილის თამარაშვილის #15ა
სახელმწიფო ხაზინა
კოდი № TRESGE22
ა/ა №GE24NB0330100200165022
ს/კ № 205169592

ლაშა ჯინჯიხაძე
დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი

,,მიმწოდებელი“

ფ/პ„ირაკლი ლაცაბიძე“
ქ. თბილისი, ვაზისუბანი 3მ/რ 1კვ.3კ.ბ44
ს/ს „საქართველოს ბანკი“
კოდი BAGAGE22
ა/ა № GE47BG0000000177149900
ს/კ №01012007120

ირაკლი ლაცაბიძე
ფ/პ